საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1410 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საჭირო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქციით უზრუნველყოფის მიზნით, საკოორდინაციო მექანიზმისთვის (გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), პროექტი „დიალოგი"), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგნების, პროდუქციისა და მცენარეთა მოვლის საშუალებების გადაცემის შესახებ

1. „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №885 განკარგულებით დამტკიცებული №1 დანართის (ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა) IV თავის (ჩართულობის ინსტრუმენტები) პირველი პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შუამდგომლობის საფუძველზე, გადაეცეს საკოორდინაციო მექანიზმს (გაეროს განვითარების პროგრამა

(UNDP), პროექტი „დიალოგი“) 2016 წლის განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგნები (ტექნიკა), პროდუქცია და მცენარეთა მოვლის საშუალებები.

2. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შუამდგომლობის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საკოორდინაციო მექანიზმისთვის (გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), პროექტი „დიალოგი“) 2016 წლის განმავლობაში ამ განკარგულებით გათვალისწინებული შესაბამისი საქონლის გადაცემა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**